სიკვდილი გერმანელ ოკუპანტებს!

ამიერკავკასიის ფრონტის წითელარმიული გაზეთი

მუშურ-გლეხური წითელი არმიის მებრძოლი

„БОЕЦ РККА" на грузинском языке

პარასკევი 13 ნოემბერი, 1942 წ. № 6

№ 102

მედგრად დავიცვათ ყოველი მტკაველი მშობლიური მიწა-წყალი!

სალამი ჩვენი ფრონტის გმირებს!

ამ უკანასკნელი დღეების განმავლობაში გაზ. „ბოეც რკკა"-ში გამოქვეყნებული იყო ამიერკავკასიის ფრონტის სარდლობის ბრძანებები გერმანელ დამპყრობლებთან ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან გულადობისა და მამაცობის გამოჩენისათვის მებრძოლთა, მეთაურთა და პოლიტმუშაკთა ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ.

წითელი არმიის საუკეთესო ადამიანები, ჩვენი ფრონტის გმირები დაჯილდოებული არიან მთავრობის მაღალი ჯილდოებით. მათ ეს ჯილდო დაიმსახურეს თავიანთი სისხლით, სამშობლოს მტრის განადგურების უნარით, წითელი ჯომარდების მაღალი ოსტატობით.

კავკასიისათვის ბრძოლა დღითიდღე სულ უფრო და უფრო გააფთრებული და საშიში ხდება. საჭიროა განსაკუთრებული სიმტკიცე, ოსტატობა და გამძლეობა, რათა გავტეხოთ გაგიჟებული მტრის გაბოროტებული მოძალება.

თავდაცვის სახალხო კომისარმა გვიბრძანა:

„მტკიცედ და შეუპოვრად დავიცვათ ჩვენი ფრონტის ხაზი, აღარ მივცეთ მტერს წინ წამოწევის საშუალება, მთელი ძალებით გამოვაცალოთ ძალა მტერს, გავწყვიტოთ მისი ცოცხალი ძალა, მოვსპოთ მისი ტექნიკა".

ისე ბრძოლა, როგორც ამხანაგმა სტალინმა გვიბრძანა, საქმეთა მეომრის კანონია. ამ ბრძანების განსახორციელებლად უნდა მივბაძოთ ფრონტის გმირებს, რომელთა საბრძოლო გამოცდილებასა და სამხედრო ხელოვნებას ისტორია ჩაწერს ჩვენი მამაცობისა და სახელოვნობის ოქროს წიგნში.

ძნელია ჩამოვთვალოთ ყველა ის ადამიანთა საგმირო საქმენი, რომლებიც ამ დღეებში დაჯილდოებული არიან მაღალი ჯილდოებით. ძალიან ბევრნი არიან ისინი, ხვადასხვა სამხედრო სპეციალობის ოსტატნი, რიგითი მებრძოლით დაწყებული და როგორც სარდლობის ორგანიზმის მეთაურ-ხელმძღვანელით გათავებული, მაგრამ ის საერთო რამ, რაც ყველა ამ ადამიანს ახასიათებს და რაც ყველაზე უფრო მკაფიოდ გამოვლინდა მათს საქმეებში, არის ნათელი შეგნება მოვალეობისა სამშობლოს წინაშე, რომელიც მათგან მოითხოვს ორგანიზებულობას, შეუპოვრობას, დისციპლინიანობას და ბოლოს, მზადყოფნას იმისათვის, რომ თავი გასწირონ საბრძოლო დავალების შესასრულებლად.

სწორედ ამ თვისებებმა მოუპოვა სახელი სერჟანტ ალექსანდრე ჭლიაძეს, რომელიც უნარიანად და მამაცურად მოქმედებდა დაზვერვაში და რომელიც ახლა დაჯილდოებულია „წითელი დროშის" ორდენით.

სწორედ ამ თვისებებმა მისცეს საშუალება ახალგაზრდა მეთაურს, ბატალიონის შტაბის უფროსს, ამჟამად ორდენოსან კაპიტანს ზორის კოტიკს ჩინებულად ეხელმძღვანელა ქვედანაყოფისათვის საბრძოლო ვითარებაში.

ეს რიგი შესანიშნავი საქმენი მისაბაძი მაგალითი იქნება ყველა მეომრისათვის, რომლებიც მშობლიური კავკასიისათვის იბრძვიან. მათი გამოცდილებით აღჭურვილი საბჭოთა მეომრები გაანადგურებენ ლაზვარს ჩასცემენ მტერს.

პატივი და დიდება, ხალხის სიყვარული და სალამი ჩვენი ფრონტის გმირებს!

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ფრონტების, ფლოტების, არმიების და ფლოტილიების სარდლებისათვის, კორპუსების, დივიზიების, ბრიგადების და პოლკების მეთაურებისათვის სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით და სამკერდე ნიშნით დაჯილდოების უფლების მინიჭების შესახებ.

1. მიენიჭოთ უფლება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დააჯილდოონ სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით ის მებრძოლნი და მეთაურნი, რომლებმაც თავი გამოიჩინეს გერმანელ დამპყრობლებთან ბრძოლის ფრონტზე, და ილდოების შემდეგში დამტკიცებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ:

ა. ფრონტებისა და ფლოტების სარდლებს რიგითი და უფროსთა შემადგენლობა პოლკის მეთაურამდე და მის შესაბამის პირებამდე ჩათვლით — წითელი დროშის, სუვოროვის III ხარისხის, ალექსანდრე ნეველის, სამამულო ომის I და II ხარისხის და წითელი ვარსკვლავის ორდენებით, მედლებით „მამაცობისათვის" და „საბრძოლო დამსახურებისათვის".

ბ. არმიების და ფლოტილიების სარდლებს — რიგითი და უფროსთა შემადგენლობა ბატალიონის მეთაურამდე და მის შესაბამის პირებამდე ჩათვლით — ალექსანდრე ნეველის, სამამულო ომის I და II ხარისხის და წითელი ვარსკვლავის ორდენებით, მედლებით „მამაცობისათვის" და „საბრძოლო დამსახურებისათვის".

გ. კორპუსის მეთაურებს — რიგითი და უფროსთა შემადგენლობა ასეულის მეთაურამდე და მის შესაბამის პირებამდე ჩათვლით — სამამულო ომის I და II ხარისხის და წითელი ვარსკვლავის ორდენებით, მედლებით — „მამაცობისათვის" და „საბრძოლო დამსახურებისათვის"

დ. დივიზიებისა და ბრიგადების მეთაურებს — რიგითი და უფროსთა შემადგენლობა ასეულის მეთაურამდე და მის შესაბამის პირებამდე ჩათვლით — წითელი ვარსკვლავის ორდენით და მედლებით — „მამაცობისათვის" და „საბრძოლო დამსახურებისათვის;"

2. მიენიჭოთ პოლკების მეთაურებს უფლება დააჯილდოონ რიგითი და უმცროსი მეთაურთა შემადგენლობა მედლებით — „მამაცობისათვის" და „საბრძოლო დამსახურებისათვის" ბრძანებით, სამკერდე ნიშნებით — „საუკეთესო", „წარჩინებული მეტყვიამფრქვევე", „წარჩინებული ნაღმტყორცნელი", „წარჩინებული არტილერისტი", „წარჩინებული ტანკისტი", „წარჩინებული მენაღმე", „წარჩინებული მესანგრე".

3. დაწესდეს, რომ ალექსანდრე ნეველის ორდენით, ორდენის სტატუტის III მუხლის შესაბამისად, ჯილდოვდებიან დივიზიისა და ბრიგადების მეთაურებიც.

4. სსრ კავშირის ორდენებისა და მედლების გადაცემა წითელი არმიისა და სამხედრო საზღვაო ფლოტის უფროსთა და რიგითი შემადგენლობისათვის, რომელნიც დაჯილდოებულნი არიან საბრძოლო წარჩინებისათვის, სწარმოებდეს უშუალოდ იმ ნაწილებში, სადაც დაჯილდოებულნი მსახურობენ.

დაწესდეს, რომ დაჯილდოებულთ სსრ კავშირის ორდენები და მედლები შეიძლება გადასცენ მოქმედ არმიაში — ფრონტების, ფლოტების, არმიების და ფლოტილიების სარდლებმა და სამხედრო საბჭოების წევრებმა, ფრონტის საზღვაო ძალების უფროსებმა (სარდლობის დავალებით), კორპუსების, დივიზიების ან ბრიგადების მეთაურებმა, ესკადრების სარდლებმა და ხომალდთა ბრიგადების მეთაურებმა, პოლკების მეთაურებმა.

5. ამის შესაბამისად ძალადაკარგულად ჩაითვალოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1941 წლის 18 აგვისტოს და 22 ოქტომბრის, 1942 წლის 6 მარტის, 1 და 14 აპრილის ბრძანებულებანი — სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების უფლების ფრონტების, არმიების, ფლოტებისა და ფლოტილიების სამხედრო საბჭოებისათვის მინიჭებისა და მოქმედ არმიაში ორდენებისა და მედლების გადაცემის წესის შესახებ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1942 წლის 10 ნოემბერი.

კაპიტანი ზ. ლ. კოტიკი. გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებთან ბრძოლებში მამაცობისა და ვაჟკაცობის გამოჩენისათვის დაჯილდოებულია „წითელი დროშის" ორდენით.

ფოტო ვ. ჯვირამოვისა

წითელარმიელმა კუზინმა განკასაწინდლო თოფით ჩამოაგდო მტრის თვითმფრინავი

რამდენიმე დღის წინათ ჩვენი ერთ-ერთი ნაწილის განლაგების თავზე გამოჩნდა მტრის თვითმფრინავი „ფოკე ვულფი". წითელარმიელმა ამხ. კუზინმა ელვის სისწრაფით დაუმიზნა, თვითმფრინავს რამდენიმეჯერ ესროლა და ძირს ჩამოაგდო. ეს უკვე მეორე თვითმფრინავი ჩამოაგდო მისმა მამაცმა ჯავშანმტვრეველმა. ამხ. კუზინი წარდგენილია მთავრობის ჯილდოზე.

მტრის ზურგში შეჭრა

გულადად და ინიციატივით მოქმედებენ მზვერავები ლეიტენანტ ინკოვის მეთაურობით. ამას წინათ კომკავშირელთა ჯგუფი შეიჭრა მტრის თავდაცვის სიღრმეში და მოსპო 20 გერმანელი, ააფეთქა ორი ბლინდაჟი, ხელთ იგდო ხელის ტყვიამფრქვევი, ავტომატები, შაშხანები და უდანაკარგოდ დაბრუნდა თავის ნაწილში.

ბრძოლის ველზე ერთიც მებრძოლია

წითელარმიელი ერისთავიანი, რომელიც მეთაურის მიერ მიცემულ ამოცანას ასრულებდა, ფაშისტების ოცეულს წააწყდა. საბჭოთა მებრძოლმა სწრაფად დაიკავა მოხერხებული საცეცხლე პოზიცია, ცეცხლიც დაუშინა და აიძულა ისინი მიწაზე წამოწოლილიყვნენ. მალე ერისთავიანთან მიხოხვა დაიწყო შვიდმა ფაშისტმა. წითელარმიელმა ზუსტ შეაგროვი სტყორცნა გრანატები და ყველა მოსპო. ოცეულის დანარჩენმა ჯარისკაცებმა მას ავტომატებით აუტეხეს სროლა. მიუხედავად იმისა, რომ ერისთავიანი დაჭრილი იყო, მაინც განაგრძობდა მტრის თვალყურის დევნებას და ყოველ ერთს ხვდა მათ მარჯვე სროლით. უთანასწორო ბრძოლა შუაღამემდე გაგრძელდა. მერე მამაცმა მებრძოლმა სიბნელით ისარგებლა, მტრის გარემოცვას თავი დააღწია და მშვიდობით დაბრუნდა თავის ნაწილში.

გამარჯვებისათვის დაჯილდოებულნი

წითელარმიელი პაველ კარპენკო

მსვერავი წითელარმიელი, ომკავშირელი კარპენკო თავის ქვეგან ყოფში ბრუნდებოდა და მხიშ ხელოვანი მ ს ენებ მოჰქონდა. მოულოდნელად იგი გერმანელ ჯარისკაცთა ოცეულს წააწყდა. ოცდაათი ფაშისტი მებრძოლს გარს შემოერტყა, მაგრამ მამაცი მსვერავი გულადად ჩაება ბრძოლაში. მან მარჯვედ და უ ითა შაშხანა და ათზე მეტი ჰიტლერელი გასწყვიტა. დ ხარჩენებმა უკან დახევა იწყეს.

დაიჭრა თვითონ კარპენკოც, მაგრამ მწვიჯობით დაბრუნდა თავის ქვეგანაყოფში.

უშიშარმა მებრძოლმა პაველ კარპენკომ ერთი კვირის განმავლობაში 50-მდე ფაშისტი გაწყვიტა.

ფრონტის სარდლობამ სახელოვანი მზვერავი ლენინის ორდენით დააჯილდოვა.

● ● ●

უფროსი სერჟანტი მიხეილ ვახნინი

მტრის ავიაციის დაშენით ცეცხლი გაუჩნდა ჩვენს ეშელონს № ს დ ურბე

კომუნისტი ვახნინი გაბედულად გაიჭრა ცეცხლმოდებული ვაგონებისაკენ, კვამლსა და ცეცხლში იწყო ვაგონების სწრაფად დახსნა, იახნინს ტანსაცმელზე რამდენჯერმე მოედო ცეცხლი, მაგრამ იგი შემ დგენლობას მანამდე არ მოშორებია, სანამ ყველა ვაგონები არ დახსნა.

ვახნინის გაბედულობის წყალობით დაიცვეს გადარჩა: ტანკების დატვირთული 5 პლატფორმა თვითმფრინავებით დატვირთული 1 პლატფორმა, 12 ცისტერნა ბენზინით, რამდენიმე ვაგონი საომარი მასალა და ავიაბომბებით დატვირთული 9 პლატფორმა.

გულადობისა და მამაცობისათვის უფროსი სერჟანტი მიხეილ ვახნინი დაჯილდოებულია „წითელი დროშის" ორდენით.

● ● ●

სამხედრო ფერშალი გალინა მაისკაია

გვარდიის ბატალიონის გულადმა სამხედრო ფერშალმა გალინა მაისკაიამ მხოლოდ 9 საბრძოლო დღის განმავლობაში გამოიყვანა ბრძოლის ველიდან 45 დაჭრილი მებრძოლი და მეთაური მათი იარაღიანად.

იგი ღიდიმბრი ი სინაზითა და მზრუნველობით უვლის დაჭრილებს, სწრაფად რამდენიმე დღეს ისე მუშაობს, რომ არც დაიძინებს და არც ისვენებს. 19 წლის კომკავშირელი ქალი მაისკაია არა ერთხელ გადავიდა იერიშზე მებრძოლებთან ერთად და მტრის გრიგალისებრ ცეცხლში უწევდა პირველ დახმარებას დაჭრილ მებრძოლებსა და მეთაურებს.

საბრძოლო დიდად დააფასა ამხ. მაისკაიას საბრძოლო დამსახურება და იგი „წითელი დროშის" ორდენით დააჯილდოვა.

საბრძოლო გამოცდილების ტრიბუნა

ხერხი სჯობია ღონესა

რომ მიაკვლიო და მოსპო მტერი, უნდა შესძლო მისი მიტყუება. ხანდ ხან კი იმკრის მტელის ბათობით „ვუ ულის" თვალყურის დევნება უხდება, ვიდრე ისეთ ადგილს არ ამოირჩევს, რომ დაუცდენლად მოსპოს ის

ერთხელ ჩვენ გავიგეთ, რომ ტყეში გ ჩნდა მტრის სნაიპერი როგორ მოვსპოთ ის?.

მე მოავშორეს სადენი გამოვართვი და პლასტუნურად მივხოხდი პატარა ხევთან. სადენი ქვეშა ტოტის ბიჯაბი, შემდეგ კი რამდენიმე მტრის მოშორებით გავხოხდი და მავთული მოწყვეტილად დავწ ტოტი ახმიანდა.

იმავე წუთას გაისმა სროლა, მეც სწორედ ეს მინდოდა: ვნახე, თუ გერმანელმა საიდან ისროლა. ის მოწყობილიყო ხის წვერზე და კარგადაც შენიღბულიყო. ზედმიწევნით ზუსტად დავუმიზნე. ვისროლე და მოკლული „გუგული" ძირს ჩამოვარდა. მეორე დღეს ამავე ადგილას მეორე ფრიცი მოვსპე ხიდან. გერმანელები, როგორც ჩანდა, ამ ხეს საუკეთესო საფარად სთვლიდნენ, მაგრამ მათ ხერხს ჩვენ წინასწარ მივუხვდით.

ზოგიერთი მებრძოლები რატომღაც ფიქრობენ, რომ მიზანში სროლა მხოლოდ სნაიპერული შაშხანით შეიძლება. მართალია, ცეცხლის დამჯნა ოპტიკური სამიზნეს საშუალებით უფრო ადვილია. ჩემი პირადი გამოცდილება მიმტკიცებს, რომ მებრძოლი, რომელიც სამხაზოვან შაშხანას სრულად არის დაუფლებული, შეიძლება სნაიპერი გახდეს ამას წინათ ერთ დღეში 11 ჰიტლერელი მოვსპე. სულ კი 24 ჰიტლერელი მყავს მოსპობ ლი. ეს ანგარიში დღითი-დღე გაიზრდება.

ჩემი იარაღი მე მიყვარს და ჩემ ცოდნასაც ვაუმჯობესებ. განუწყვეტლივ ვვარჯიშობ სროლაში. ხშირად ვუმვრი ხოლმე იმ ზოლვეებს, რომლებზეც შესაძლებელია მტერმა თავისი სასეცხლე წერტები მოაწყოს.

წითელარმიელი ვ. შაშინი.

ვალიკო კურმაშვილის გმირობა

ჩვენი ქვეგანაყოფი შემხვედრ ბრძოლას ეწეოდა მოწინააღმდეგის ტანკებთან. მტრის ხუთი ტანკი მოემართებოდა პოზიციისაკენ, რომელიც მებრძოლ კურმაშვილს ეკავა. გულადმა მეომარმა გადასწყვიტა მოწინააღმდეგის მანქანები არ გამოეშვა მეღგრად და მამაცურად დაეცვა თავისი ხლუდე.

წინწამწევის შემდეგ, ის კარგად შეინიღბა ბუჩქებში და ლოდინი დაიწყო. როცა ტანკები 150-200 მეტრის მანძილზე მიუახლოვდნენ, კურმაშვილმა ჯავშანსატვრეველი შაშხანის ცეცხლი დაუშინა. 20 წუთის განმავლობაში მან გერმანელთა 3 ტანკი დააზიანა.

სატანკო იერიში წარმატებით იქნა მოგერიებული. გულადობისა და მამაცობისათვის რომელიც მან გერმანელ დამპყრობლებთან ბრძოლაში გამოიჩინა, წითელარმიელი კურმაშვილი დაჯილდოებულია „წითელ დროშის" ორდენით.

ნ. კოხტაროვი

შური ვიძიოთ ქვეყნარმაულებზე

აქ დიბადა, აქ გიაზარდა,
იყო პატარა მწუკმაი გოგონა,
ქცაგილითანი ეს ველმინდორი
თვისა გახსნილი გული ეგონა.

აქ ყვილაფერი იყო ძვირფასი
სახიყვარული და მშობლიური,
დღეს კი სდევნიან, კონდაზს
ურტყამენ,
რომ ჩაუზმენდნენ ტილა მზიური.

აცრემლებული მისი თვალები
მდუღარე, გრძნობით შესცქეროდა
მწარედ

ტყეებს, მდინარეს, გადამლოდ
ველებს
რომ აშორებენ საყვარელ მხარეს.

იგი აქ ჰკრეფდა სოკოს,
ყვავილებს,
ანკარა წყაროს ეწაფებოდა,
მან არ იცოდა მოხური ყოფა,
ბედნიერებით იგიც ცეკვავდა.

გამოთხოვების ამ ძვირფას წამში
შემოუცქერის თოვლი ძლიერად,
ძმაო, მებრძოლო, არ აპატიო,
შენ გადუხადე ხამ გმირო!...

მთებში საომარი მოქმედების ზოგი თავისებურების შესახებ

მთებში ჯარების მოქმედება არსებითად განსხვავდება ვაკე ადგილებში მოქმედებისაგან.

მთებში მეტად ცოტაა გზა და ბილიკი, ხეობები ერთმანეთისაგან დაშორებულია ქედებით და მთის შტოებით; ამას გარდა, მთის რელიეფს უამრავი მკვდარი სივრცე და დაფარული მისადგომები აქვს. მთის მდინარეები და ნაკადები, მეტადრე თოვლის დნობის დროს, სერიოზულ დაბრკოლებას წარმოადგენენ, მათი გადალახვა მხოლოდ გადასასვლელის საშუალებით შეიძლება. მთებში ამინდი მკვეთრად და სწრაფად იცვლება.

შეტევისა და თავდაცვის მოწყობის დროს უნდა გავითვალისწინოთ ყველა ეს თავისებურება, გულდასმით უნდა შევისწავლოთ ხეობების, ქედების, მთის შტოების, მწვერვალებისა და კლდეების განლაგება.

ვაკეში საბრძოლო წყობილების დაწყობისა და მარშის ორგანიზაციების დროს მხედველობაში ვიღებთ, ჩვეულებრივ, უბნის სიღრმესა და სიგანეს, გზის სიგრძეს. მთებში კი აუცილებელია გავითვალისწინოთ აგრეთვე, თუ როგორ არიან განლაგებული ადგილმდებარეობის სხვადასხვა წერტები, რამდენად ციცაბოა აღმართები და დაღმართები. მუდამ უნდა ვეცადოთ, რომ განვლაგდეთ მოწინააღმდეგეზე უფრო მაღლა, ზევიდან ქვევით დავკრათ მტერს ცეცხლითაც და ხელჩართული ბრძოლის დროსაც. ამიტომ არის, რომ ზოგჯერ აუცილებელია შეტევის დროს ვიაროთ არა მარტო ხეობებით, არამედ ქედებითაც, რომლებიც ადგილმდებარეობას დაჰყურებენ.

თავდაცვაში უფრო ხელსაყრელია მთის შტოები და მწვერვალები დავიკავოთ, რათა გამოვიყენოთ ცეცხლის მთელი სიმძლავრე. თავდაცვაში ცეცხლის სისტემა მრავალიარუსიანი უნდა იყოს.

თითოეული მეთაურის ძირითადი ამოცანაა საშუალება არ მისცეს მოწინააღმდეგეს, რომ მან შემოსასვლელი გზები და ბილიკები გამოიყენოს, ცეცხლით დაიცვას მთის უამრავი მისადგომი და მკვდარი სივრცეები, რომლებიც მოხერხებული არიან მტრის ძალთა დასაგროვებლად შეტევის დროს.

შეტევის დროს აუცილებელია გამოვიყენოთ ყველა მისადგომი ფრონტიდან და ფლანგებიდან, ვძებნოთ მტრის შემოვლისა და გარემოცვის გზები, ვეცადოთ დავარღვიოთ მტრის ზურგის ნორმალური მუშაობა. დიდი მნიშვნელობა აქვს ხელთ ვიგდოთ აგრეთვე გზაბოძირები, ხიდები და უღელტეხილები მტრის ზურგში. ამ პუნქტებისაკენ გაღწევა ყველაზე უფრო ადვილია ჰაერით. მაშასადამე, მთებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საჰაერო დესანტების გამოყენებას. ამასთანავე უნდა მოვძებნოთ მტრისათვის უცნობი ან ისეთი ბილიკები, რომლებიც გაუვლელად ითვლებიან, და გამოვიყენოთ ისინი უეცარი თავდასხმისათვის.

მთის რელიეფი საშუალებას გვაძლევს მთელი სისრულით გამოვიყენოთ იარაღი დაფენილი და დაკიდებული ტრაექტორიით.

მეთაურმა უნდა იზრუნოს იმისათვის, რომ თავის ზურგში დაცული ჰქონდეს მნიშვნელოვანი პუნქტები: გზაბოძირები, გადასასვლელები, გზებისა და ბილიკების, მნიშვნელოვანი ხეობების გასწვრივები. არ უნდა დავივიწყოთ მტერთან ბრძოლის ძველი ნაცადი წესები: ზვავებისა და ზვავების მოწყობა, ხიდებისა და გზების დანგრევა გრეხილებზე ან გვირაბებში.

ისევე როგორც ვაკეებში, მთებშიც აუცილებელია სწრაფად შევქმნათ სანგრები ბრძოლის საფარმოიებლად და სიფარად მტრის ავიაციისაგან და საარტილერიო—სანაღმტყორცნო ცეცხლისაგან.

მთებში ტანკსაწინააღმდეგო თავდაცვა უნდა ავაგოთ ბუნებრივ და ხელოვნურ დაბრკოლებათა შეხამებით. მაგალითად, ციცაბო ფერდობები საშუალებას იძლევიან სწრაფად შევქმნათ ტანკებისათვის დაუძლეველი უბნები. მათ შორის გასასვლელები უნდა დაინაღმოს, აშოთხერგოს ქვის ბლოკებით.

საჰაერო თავდაცვის ორგანიზების დროს საზენიტო საშუალებანი უმჯობესია განვალაგოთ მაღლობებზე. ეს აადვილებს სასროლო ველს და საშუალებას გვაძლევს მტრის თვითმფრინავები ჩამოვაგდოთ არა მარტო ქვევიდან ზევით, არამედ ერთი დონიდან, ზოგჯერ კი ზევიდან ქვევითაც (როცა თვითმფრინავები ხეობათა გაყოლებით დაფრინავენ).

ყველა ხარისხის მეთაურთა განსაკუთრებულ საზრუნავს წარმოადგენს მთებში მოქმედი ჯარების მომარაგება სურსათით, წყლით, სათბობით, ფურაჟით, საომარი მასალით.

მთებში საომარი მასალის მიტანა მეტად ძნელია, განსაკუთრებით დღისით, როცა გზებს მტრის ავიაცია უშენს.

მთებში დაზვერვა უნდა ვაწარმოოთ მცირე რაზმებით. ამ ჯგუფების ძირითადი მიზანია არა მარტო დაზვერონ მტერი, არამედ ამასთანავე ხელი შეუშალონ მტრის დაზვერვას.

პოლკოვნიკი ი. ხოჯაიკოვი.

პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა ფრონტზე

პარტორგის გეგმა

სანაღმოსტყორცნო ბატარეის პარტორგი წითელარმიელი ონოპრიენკო ჰოსპიტლიდან თავის ნაწილში დაბრუნდა ბრძოლის მორჩენის შემდეგ. ონოპრიენკომ, მომქმედმა და ინიციატივიანმა კომუნისტმა, კარგმა აგიტატორმა და ორგანიზატორმა შესძლო ძალების სწორად განლაგება: პარტორგანიზაციის თითოეულმა წევრმა მიიღო ისეთი დავალება, რომელიც მის ცოდნას, გამოცდილებას და პირად ინტერესებს შეესაბამებოდა. მთელი პარტიული მუშაობა მიმდინარეობდა გეგმით და ზუსტი ანგარიშით.

პარტორგი დიდ ყურადღებას აქცევს ახალგაზრდა კომუნისტების აღზრდას. წითელარმიელი ჯიშკარიანი ახლახან მოვიდა წითელარმიაში. თავდაპირველად მას ბევრი რამ საძნელო საქმედ მიაჩნდა. პარტორგი ყოველდღიურად ესაუბრებოდა მას, განუმარტავდა მის კომუნისტ-მებრძოლების როლსა და ამოცანებს სამამულო ომში. ეს საუბრები დაეხმარნენ ჯიშკარიანს გამხდარიყო სამაგალითო მებრძოლი და კარგი აგიტატორი.

ოცეულში, რომელსაც პარტიის კანდიდატი ლატიფოვი მეთაურობდა, დისციპლინის საქმე არ იყო კარგად დაყენებული. პარტორგი დაეხმარა ამ ოცეულის მეთაურს. ლატიფოვთან ერთად მან დიდი აღმზრდელობითი მუშაობა გასწია მებრძოლთა შორის, მეთაურს პირადი ავტორიტეტი შეუქმნა. ყველა ამის შედეგად საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების ხარისხი ოცეულში შესამჩნევად გაუმჯობესდა.

მებრძოლები ამხ. პენზევი, აბდულაევი და რატიმოვი სწავლაში ჩამორჩენილნი იყვნენ. პარტორგი ესაუბრა მათ, შემდეგ კი მათ მიამაგრა საბრძოლო მომზადების ფრიადოსანი კომუნისტები. მდგომარეობა უცბად შეიცვალა. ახლა ამ მებრძოლებს შესანიშნავი მაჩვენებლები აქვთ.

კარგად ორგანიზებულმა პოლიტიკურ-აღმზრდელობითმა მუშაობამ თავისი ნაყოფი გამოიღო. მხოლოდ უკანასკნელი დროის განმავლობაში აქ პარტიის რიგებში შევიდა ქვეგანაყოფის 8 საუკეთესო ადამიანი.

კომუნისტების მაგალითი

მტერი ხელსაყრელ ზღუდეზე გამაგრდა. მტრის ამ ზღუდიდან განდევნა დაევალა მოიერიშე ჯგუფს, რომელსაც კომუნისტი ტეპლიცკი მეთაურობდა. დასახული ამოცანა ადვილი შესასრულებელი როდი იყო. უნდა გაევლოთ ღელე და გზა კლდეებზე და ბუჩქნარებზე მტრის შეუწყვეტელ ცეცხლში. მხოლოდ პატარა ჯგუფების თამამი და გადამწყვეტი მოქმედებით შეიძლებოდა წარმატების მიღწევა.

ეს მშვენივრად ესმოდა ტეპლიცკის. ბრძოლის წინ მან თავი მოუყარა კომუნისტებსა და კომკავშირლებს, გააცნო და აუხსნა ამოცანა, ბრძოლისგან აუთრებული მხარეები და მოწინააღმდეგის მონაცემი ცნობები.

და, აი, დაიწყო ბრძოლა. ცეცხლის ზვავს მოჰყვა იერიშზე გადმოსულთა რკალები. ტეპლიცკი ბრძოლის სული და გული იყო. ის იქ ჩნდებოდა, სადაც ყველაზე დაძაბული ვითარება იქმნებოდა.

მარცხენა ფლანგზე გერმანელმა მეავტომატეებმა მოულოდნელი სროლა ასტეხეს. ახალგაზრდა მებრძოლები, რომლებიც ბრძოლაში პირველად იღებდნენ მონაწილეობას, შეჩერდნენ. მათ შორის გაჩნდა ტეპლიცკი.

— ვინ იკისრებს მეავტომატეთა მოსპობას? — დაიყვირა მან.

— მე, — გამოეპასუხა კომკავშირელი კანუკოვი.

ორი მებრძოლის თანხლებით ის უკუღმა წინ წაიწია. 10 წუთის შემდეგ მტრის მეავტომატეები უკვე სდუმდნენ.

გერმანელთა თავდაცვის ხაზთან იერიშზე გადასული ჩვენი მებრძოლები ცოტა ხნით შეყოვნდნენ. თავდაპირველ გადასვლას ხელს უშლიდა ბუჩქნარი. მაშინ იერიშზე გადასულთა წინ გაჩნდა ტეპლიცკი. ის კომუნისტებს მოუწოდებდა პირადი მაგალითით გაეყოლიებინათ მებრძოლები. პირველი წამოდგა ახალგაზრდა კომუნისტი, ლეიტენანტი ყრუზბაევი, რომელიც ბრძოლის წინ მიიღეს პარტიაში.

მან ზედიზედ სტყორცნა გრანატები მიზანს: — მიიღეთ ბეშკირი ხალხისაგან, — დაიყვირა ხოლმე ლეიტენანტი.

ყრუზბაევს მიჰყვნენ კომუნისტები, მათ კი დანარჩენი მებრძოლებიც. დაიწყო ცხარე ხელჩართული ბრძოლა. ამ ბრძოლაში, როდესაც გერმანელებმა ჩვენი მებრძოლების ძლიერებს დარტყმას ვეღარ გაუძლეს და უკან დახევა იწყეს, მტრის ტყვიამფრქვევის ცეცხლმა ჩვენი მეორე ეშელონი იძულებული გახადა მიწაზე გაწოლილიყო. იმ დროს, როცა ასე წარმატებით დაიწყო, შესაძლებელი იყო ჩაფუშულიყო. ტეპლიცკიმ ეს გაითვალისწინა და მოკლედ ბრძანა:

— მოსპეთ ტყვიამფრქვევები!

მეთაურის ბრძანება წარმატებით შეასრულა კომკავშირელმა მექანიკემ. მან ხელისგრანატების საშუალებით მეწყობრიდან გამოიყვანა დაზგის ტყვიამფრქვევის მთელი შემადგენლობა.

— ყოჩაღ, მადლობას გიცხადებ! შესძახა მას ტეპლიცკიმ.

მეთაურის მიერ წახალისებულმა მექანიკემ გამოარკვია მეორე ტყვიამფრქვევის ადგილსამყოფელიც და ისიც ჩააჩუმა.

გზა გაწმენდილ იქნა და ჩვენმა მეავტომატეებმა, რომლებმაც გერმანელთა თავდაცვის ხაზი გაარღვიეს, ფაშისტების მებრძოლი რიგები წალეკეს. ამ დღეს უწყინდურ ფაშისტებისაგან საბჭოთა მიწის კიდევ რამდენიმე კილომეტრი გაათავისუფლეს.

ბრძოლის წარმატებით ჩატარებისათვის ტეპლიცკი და მისი ამხანაგების ჯგუფი ორდენებით იქნენ დაჯილდოებულნი.

ვ. უდოვენკო.

მოქმედი არმია.

ავტომატჩი წითელარმიელი შ. ქარანაძე ამხ. სტალინის მოხსენებას უკითხავს სერჟანტ მიხაილოვის ქვეგანაყოფის მებრძოლ მეზენიტეებს. ფოტო ვ. ჯავრიშვილისა

საგმირო საქმით უპასუხებენ ჩვენი ფრონტის მებრძოლები ბელადის მოხსენებას და ბრძანებას

მუსრი გავავლოთ

ეს 8 ნოემბერს იყო. მთელ დღეს გატაცებით განვიხილავდით ამხანაგ სტალინის მოხსენებასა და ბრძანებას. საყვარელი სახალხო კომისრის მარტივმა გენიალურმა მითითებებმა ახალი ძალა შეგვმატეს, გაგვიძლიერეს მტრისადმი სიძულვილის გრძნობა. საღამოს მეწინავე საგუშაგოში ვიმყოფებოდი. სტალინის სიტყვებით აღფრთოვანებულს, მე მაგრად მეჭირა ხელში ავტომატი და თვალ-ყურს ვადევნებდი გზას. უცებად რაღაც შორი ხმაური გაისმა. მალე გერმანელი მოტოციკლისტის სილუეტი გამოჩნდა. როცა მანქანა გამოსწორდა, მე გავისროლე. გერმანელი წაიქცა. მცირე ხნის შემდეგ კვლავ მოისმა მოტორის ხმაური. გამოჩნდა მეორე მოტოციკლი. მე საფარიდან არ გამოვსულვარ, ისე ვისროლე მოკლე ჯერი. მოტოციკლს ცეცხლი წაეკიდა. ამ დროს ჩემთან მოვიდა ორი ამხანაგი. ჩვენ სამმა ექვსი გერმანელი მოტოციკლისტი მოვსპეთ იმ საღამოს. ასე შევასრულეთ ჩვენ ამ საღამოს ჩვენი ძალ-ღონის შესაბამისად ამხანაგ სტალინის მოთხოვნა მტრის ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მოსპობის შესახებ.

წითელარმიელი **გ. მელქაძე**

№ ნაწილის საუკეთესო სნაიპერები

№ ნაწილის სნაიპერების უმეტესმა ნაწილმა ღირსეულად შეასრულა წინასაოქტომბრო შეჯიბრების ნაკისრი ვალდებულებანი. პირველობა აიღო სერჟანტმა ზელიმ, მან იკისრა 7 ნოემბრისათვის არანაკლებ 100 ფაშისტის მოსპობა, ხოლო გასწყვიტა—120. მასთან შეჯიბრებულმა სნაიპერმა ქისტაურმა 90 ფრიცი გაჟლიტა.

საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით, ამიერკავკასიის ფრონტის ჯარების დმ 1942 წლის 5 ნოემბრის ბრძანებით, გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან გულადობისა და მამაცობის გამოჩენისათვის, საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლით დაჯილდოებულია წითელი არმიის მებრძოლთა, მეთაურთა და პოლიტმუშაკთა დიდი ჯგუფი. მათ შორის დაჯილდოებული არიან:

ლენინის ორდენით: წითელარმიელი შალვა პავლეს ძე წარიაშვილი. **„წითელი დროშის" ორდენით:** წითელარმიელი ვალიკო იასონის-ძე კურმაშვილი, სერჟანტი ალექსი ნდრეამ ბაკოს-ძე ბლიაძე, წითელარმიელი მუკა ოვანესის-ძე კარტაშვილი, უმცროსი ლეიტენანტი პაველ ვასილის-ძე ახათიანი, უმცროსი სერჟანტი ისიდორე მიხეილის-ძე დოვეირი, ლეიტენანტი შალვა მიხეილის-ძე მარჯანიშვილი, ლეიტენანტი ნიკოლოზ ისიდორეს-ძე **ხხირტლაძე**.

„წითელი ვარსკვლავის" ორდენით: წითელარმიელი სოსო დიმიტრის-ძე **ჯგერიანაშვილი**, სახელმწიფო უშიშროების ლეიტენანტი გიორგი ალექსის-ძე **მაისურაძე**, ლეიტენანტი გრიგოლ ალექსის ძე ზარამიძე, სერჟანტი გიორგი სერგის-ძე **გვარამაძე**, წითელარმიელი გერასიმე დავითის-ძე გოგუა, უფროსი ლეიტენანტი ვასილ რაჟდენის-ძე **რუხაძე**, სერჟანტი დავით ილარიონის ძე ცინცაძე

მედლით „საბრძოლო დამსახურებისათვის".

სახელმწიფო უშიშროების სერჟანტი ანტონ დავითის-ძე **ძამაშვილი**.

დაბადების დღე

ჩემი სანგრიდან ჩრდილოეთისაკენ გადაჭიმულია მოზდოკის ხეობა, იქით მტრის ხაზის წინა კიდე იმალება, სამხრეთით კი აღმართულია კავკასიონის ქედი. ეს მშობლიური მთები ულრესად გაცხარებულ ბრძოლებშიც კი მიხიდავენ. დიდებული, ბუმბერაზი მთები ძალღონეს მმატებენ და სიამაყის გრძნობას მინერგავენ. როცა ყაზბეგს ვუმზერ, გონებით ჩემს საყვარელ საქართველოს ვხედავ და მას ვესაუბრები.

იქ, კავკასიონის ქედს გადაღმა ჩემი სამშობლოა — ნაყოფიერი კახეთი, მე თელაველი მუშა ვარ. ახლა მე და ჩემი ძმა მიხეილი ჩვენი სამშობლოს ველავეთ ფაშისტი ბარბაროსებისაგან ათეულმა, რომელსაც მე ვმეთაურობ, ღირსეული ბრძოლა გადაიტანა. განთიადზე გერმანელთა ტანკები მოეძალნენ ჩვენს სანგრებს, მაგრამ ფრიცები აღმოჩნდნენ ჩვენზე გაიმარჯვებით: მტერმა ჩვენი თავდაცვის ზღუდე ვერ გაარღვია. ჩვენ ადგილზე დავრჩით, და მე ჩემს თანამემამულე ქართველებს ვუთხარი:

— ისე მედგრად და ურყევად დავდექით, როგორც ყაზბეგი სდგას.

ბრძოლის შემდეგ ჩემს მებრძოლებს გავუმხილე და ვუთხარი, რომ მალე ჩემი დაბადების დღის აღსანიშნავად მოლოცვების მიღებას დავიწყებდი.

— სერჟანტო, — შეეკითხება დავით ლოგიაშვილი, — როდის დაიბადეთ?

— ჩემი დაბადების დღეა 7 ნოემბერია, — მივუგე მე მებრძოლს, — ამხანაგებო, ამ დღისათვის დაუმზადეთ საჩუქრები თქვენს მეთაურს, გაადიდეთ თქვენ მიერ დახოცილი ფრიცების ანგარიში.

ჩემმა მებრძოლებმა ეს საჩუქარი აღმითქვეს და ჩვენ თავდადებით ვიბრძვით, რათა კავკასიონის კარიბჭიდან შორს გავრეკოთ შემოსეული ვერაგი მტერი.

გული სიხარულით იმსჭვალება, როცა ვხედავ, რომ ამ ბრძოლას ერთსულოვნად ეწევიან ჩვენი დიადი სამშობლოს ყველა ერთა შვილები — რუსები, ქართველები, უკრაინელები, უზბეკები, ოსები, ბელორუსები. ჩვენს ნაწილში თავდადებით იბრძვიან: უზბეკი ჯუმანოვი, რომელმაც გერმანელთა ორი ტანკი მოსპო, ცეცხლოვანი კოზაკი, რომელმაც 23 გერმანელი გასწყვიტა, ქართველი მაჭარაშვილი, რომელმაც მოწინააღმდეგის სამი საცეცხლე წერტი გაანადგურა, უკრაინელი პროკოპენკო, რომელმაც მტრის ტყვიამფრქვევის გუნდი გაჟლიტა.

ყველა ისინი კავკასიის მისადგომებზე იბრძვიან, რადგან კავკასია ისევე საყვარელია უკრაინელისათვის, როგორც მისი უკრაინა, ისევე საყვარელია უზბეკისათვის, როგორც მისი უზბეკეთი.

ფაშისტთა ურდოები უნდა გავანადგუროთ.

თავდადებით უნდა დავიცვათ ჩვენი ღირსება, თავისუფლება და დამოუკიდებლობა. აი ამ ფიქრებით ვხვდებოდი ჩემი დაბადების დღეს — დიდი ოქტომბრის წლისთავს. ეს ფიქრები ჩემს სულ განამტკიცებენ და გამარჯვების რწმენას მინერგავენ. სამასი მეტრით ვართ დაშორებულ მტრის სანგრებს. ახლა სიწყნარე ჩამოვარდა, მაგრამ ბრძოლა შეიძლება ყოველ წუთს გაჩაღდეს. ეს მშობლიური მთები გადმომცქერიან და ჩემს გონებას არ შორდება რაინდი ავთანდილის ამაყი, გამამხნევებელი სიტყვები:

სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა

სიკვდილი სახელოვანი!

სერჟანტი **ნ. ხუციშვილი.**

მოზდოკის რაიონი.

თავდაცვის სახალხო კომისარიატში

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ სამშობლოსათვის ბრძოლებში ვაჟკაცობის გამოჩენისათვის, მედგრობის, სიმამაცის, დისციპლინისა და ორგანიზებულობისათვის, პირადი შემადგენლობის გმირობისათვის 193 საზენიტო არტილერიის პოლკი გარდაქმნილია 72 გვარდიის საზენიტო არტილერიის პოლკად.

პოლკის მეთაური—პოლკოვნიკი მიხეილ გერონტის-ძე კიკნაძე.

გარდაქმნილ პოლკს ეძლევა გვარდიის დროშა.

კაპიტან კ. ჩხაიძის ქვედანაყოფი თავდაცვაში

ფოტო ვ. ივანოვისა

საჩუქრები კავკასიის დამცველებს

საქართველოსა და სომხეთის მშრომელებმა 23 ვაგონი სადღესასწაულო საჩუქრები გამოუგზავნეს კავკასიის სახელოვან დამცველებს—მოქმედი ნაწილების მებრძოლებს, მეთაურებსა და პოლიტმუშაკებს. მიღებულია დიდძალი ხილი, ბოსტნეული, ღვინო, კონსერვი, ძეხვეული, თამბაქო, ტანსაცმელი და ა. შ. მათ შორის 25 ათასზე მეტი ინდივიდუალური ამანათი.

საჩუქრებთან ერთად მიღებულია ბევრი წერილები. საქართველოსა და სომხეთის მშრომელები თავიანთ წერილებში რწმენას გამოსთქვამენ, რომ საბჭოთა მეომრები ღირსეულად შეასრულებენ ამხანაგ სტალინის № 345 ბრძანებას, დაიცავენ მშვიდ კავკასიას საძულველ მტერთან ბრძოლაში და თავებს დააყრევინებენ ჰიტლერელ ყაჩაღებს კავკასიის მისადგომებზე.

სადღესასწაულო საჩუქრები მებრძოლთ ეძლევათ უშუალოდ სანგრებში და საველე აეროდრომებზე.

ხ. აჩხანელიძე.

მწერალ როდიონ ქორქიას ლექცია

ამას წინათ მწერალმა როდიონ ქორქიამ № ნაწილში წაიკითხა საინტერესო ლექცია: „ქართველი ხალხი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში".

ლექტორმა დაასახელა საინტერესო და მკაფიო მაგალითები, თუ როგორ იბრძოდნენ და იბრძვიან საქართველოს მშრომელები, რომელთაც დიდი რუსი ხალხის დახმარებით არა ერთხელ დაუცავთ და ახლაც იცავენ თავიანთ სამშობლოს საზიზღარი უცხოელი დამპყრობლებისაგან.

მებრძოლებში ლექციამ დიდი კმაყოფილება გამოიწვია და სთხოვეს მწერალს ხშირ-ხშირად ეწვიოს მათ.

წითელარმიელი ხ. ჯაშიაშვილი.

სერჟანტი ნ. ორჯონიკიძე.

სნაიპერის სამახსოვრო

1. შეუცდომელი, ზუსტი სროლისათვის საჭიროა არა მარტო კარგი თვალი და მტკიცე ხელი, არამედ ამასთანავე გამძლეობა, სიდინჯე, ზუსტი გამოანგარიშება.

2. მტრისათვის უხილავი უნდა იყო, შენ თვითონ კი ყველაფერს უნდა ხედავდე; გულმოდგინედ შენიღბე საცეცხლე პოზიცია. წინდაწინ მოისროლე ორიენტირები.

3. აირჩიე მნიშვნელოვანი სამიზნეები: შეტევაში ქვეითი მტრის საცეცხლე წერტების ჯგუფები, მუსრე მეთვალყურენი და ცეცხლის მკორექტირებელნი; თავდაცვაში—შორი დისტანციებიდან მწყობრიდან გამოიყვანე პირველ რიგში მოწინააღმდეგის მეთაურთა შემადგენლობა.

4. გულმოდგინედ შეინახე შაშხანა, მოუარე და თვალყური ადევნე მას ყოველდღიურად.

5. განუწყვეტლივ დახელოვნდი, მუდამ ფხიზლად იყავ, მტრის ოინები გამოიცან, აჯობე მას ხერხიანობაში და მტერს დარტყმა იქიდან აგემე, საიდანაც არ მოელის.

6. საკუთარ წარმატებას ნუ დასჯერდები: ზემარჯვე სროლის ხელოვნება სხვა წითელარმიელებსაც შეასწავლე.

7. ნუ დაივიწყებ, უზრუნველყავი საჭირო შემთხვევებში სხვა გვარეობის იარაღთან ურთიერთმოქმედება.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

12 ნოემბრის დილის ცნობიდან

11 ნოემბრის ღამის განმავლობაში ჩვენი ჯარები ბრძოლებს აწარმოებდნენ მოწინააღმდეგესთან სტალინგრადის რაიონში, ტუაფსეს ჩრდილო-აღმოსავლეთით და ნალჩიკის სამხრეთ-აღმოსავლეთით. სხვა ფრონტებზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

* * *

სტალინგრადის რაიონში ჩვენი ჯარები იგერიებდნენ მოწინააღმდეგის იერიშებს. ქალაქის საქარხნო ნაწილში მოგერიებულ იქნა იერიშები მოწინააღმდეგისა, რომელიც ცდილობდა მოლიერით შემოჭრილიყო ჩვენს თავდაცვაში. № ნაწილის არტილერისტებმა და ნაღმმტყორცნელებმა გაანადგურეს და ნაწილობრივ მოსპეს გერმანელთა ორ ასეულამდე ქვეითი ჯარი. მებრძოლთა ჯგუფი, უმცროს ლეიტენანტ გორნოსტაევის მეთაურობით, გარშემოარტყა მოწინააღმდეგის მიერ დაკავებულ ცალკეულ სახლებს. ჩვენმა მებრძოლებმა გრანატები დააყარეს ჰიტლერელებს და დახოცეს 130 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

* * *

სტალინგრადის ჩრდილო-დასავლეთით მოწინააღმდეგის ორმა ბატალიონმა ქვეითმა ჯარმა იერიში მიიტანა ჩვენს პოზიციებზე ერთ დასახლებულ პუნქტში. ჩვენი არტილერიისა და ქვეითი ჯარის ცეცხლით ჰიტლერელთა იერიში მოგერიებულ იქნა, ამასთან მათ დიდი ზარალი მოუყენეს. ბრძოლის შედეგად მოსპობილია მოწინააღმდეგის 400-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი. ჩვენმა მებრძოლებმა ხელთ ჩაიგდეს 8 ტყვიამფრქვევი, 1 ნაღმსატყორცნი და 72 შაშხანა. სხვა უბანზე № ნაწილის მებრძოლნი შეიჭრნენ რუმინელთა სანგრებში და მოსპეს 80 ჯარისკაცი და ოფიცერი. ხელთ ჩაიგდეს ქვემეხი, 3 ტყვიამფრქვევი და 2 ნაღმსატყორცნი.

* * *

ნალჩიკის სამხრეთ-აღმოსავლეთით გერმანელთა 2 ბატალიონი ქვეითი ჯარი ცდილობდა ტანკების დახმარებით ცალ გვერდიდან დაერტყა და ალყაში მოექცია ჩვენი ნაწილი, რომელიც იცავს დიდი მნიშვნელობის მქონე პუნქტის მისადგომებს. საბჭოთა ქვეგანაყოფებმა მოიგერიეს გერმანელთა იერიში. ბრძოლის ველზე დარჩა მტრის 200-მდე გვამი და 3 დაზიანებული ტანკი.

* * *

დასავლეთის ფრონტზე ჩვენი ნაწილების ცეცხლით მოსპობილია 440 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, 3 ქვემეხი, დანგრეულია 7 ძელმიწური და 30 ბლინდაჟი. № შენაერთის სნაიპერებმა ერთი თვის განმავლობაში მოსპეს 1,947 გერმანელი. სნაიპერმა ამხ. დრობოტოვმა დახოცა 155 ჰიტლერელი, სნაიპერმა ამხ. აფანასიევმა—119 და სნაიპერმა ამხ. ვეზბერდიევმა—106.

* * *

ჩრდილო-დასავლეთის ფრონტზე კონტრატაკები საარტილერიო და თოფ-ტყვიამფრქვევის სროლა იყო. ჩვენი მებრძოლების ჯგუფი, უფროს ლეიტენანტ ამხ. კოვალენკოს მეთაურობით, შეუმჩნევლად მიაღწია მოწინააღმდეგის თავდაცვის წინა კიდეს და გარშემოარტყა მტრის 3 ძელმიწურს. მზვერავებმა აფეთქეს ძელმიწურები, დახოცეს 20-მდე გერმანელი და უვნებლად დაბრუნდნენ თავიანთ ნაწილში. მოიერიშე მფრინავებმა ამხ. საფრონოვის ხელმძღვანელობით დაარტყეს მტრის ავტოკოლონას. მოსპობილია 15 ავტომანქანა ტვირთიანად და ცოცხალძალიანად.

* * *

პოლესიეს პარტიზანთა რაზმი გარშემოარტყა დასახლებულ პუნქტს და მოსპო იქ მყოფი გერმანელთა გარნიზონი.

მინსკის ოლქის ერთ-ერთ რაიონში მოქმედმა პარტიზანულმა რაზმმა 10 დღის განმავლობაში მოსპო გერმანელთა 107 ავტომანქანა სხვადასხვა ტვირთით დატვირთული, და ფრონტზე გადასჩეხა მოწინააღმდეგის 2 სარკინიგზო ეშელონი. მარცხის შედეგად მოსპობილია 3 ორთქლმავალი და 25 ვაგონი საომარ მასალიანად და სამხედრო ტექნიკიანად.

ვარდისთაიგულელი სნაიპერი

დაე, მთიურ ყარაბახში გაიგონ თუ რა შესანიშნავი სნაიპერი გახდა მათი მიწა-წყლის შვილი იშხან ხაჩატუროვი. დაე, ეს გაიგონ მისმა მშობლებმა გრიგორმა და ნატიმ.

ხაჩატუროვი ახალგაზრდა მეტყვიამფრქვევეა. რამდენიმე დღის წინათ მან მოისმინა თავისი ამხანაგის, ტაჯიკ სადუღლო მაჯიდოვის ბატაკი, და კეთილშობილური შური აღეძრა.

— ამხანაგო ლეიტენანტო,—უპატაკებდა მაჯიდოვი,—დღეს—19 ოქტომბრის განმავლობაში ჩემს მიერ მოკლულია ორი გერმანელი.

„ბედნიერია სადული,—ფიქრობდა იშხანი, ის უკვე ხოცავს წყეულ გერმანელებს, უკვე შურს იძიებს თავის სამშობლოსათვის, ის ჯკვე იცავს თავის მშობლიურ ტაჯიკეთს"...

მეორე დღეს, როდესაც შაშხანით შეიარაღებული მაჯიდოვი თავის სნაიპერულ პოზიციასთან მივიდა, ხაჩატუროვი მიუახლოვდა ლეიტენანტს.

— მეც მინდა, ამხანაგო ლეიტენანტო, გერმანელების დახოცვა,—უთხრა იშხანმა ლეიტენანტს,—ამიტომ სნაიპერი მინდა გავხდე. შეიძლება მაჯიდოვს გავყვე?

ლეიტენანტმა ხაჩატუროვს უცბათ გადაავლო თვალი და გულთბილად უთხრა:

— წადით, ამხანაგო ხაჩატუროვო, წარმატებას გისურვებ.

და, აი, სათვალთვალო შენიღბული მაჯიდოვი და ხაჩატუროვი დიდის მოთმინებით ნადირობენ გერმანელებზე. ისინი ხედავენ, თუ ბლინდაჟიდან აქეთ-იქით ცქერით როგორ ამოვიდა გერმანელი და ზურგმოხრილი როგორ გაემართა სიმინდებისაკენ. ის მოსასაქმებლად ამოძვრა. უნდა მოეკლას ფრიცი, და ხაჩატუროვი დიდხანს უმიზნებდა, მერე ჩახმახიც დასწია და მოკლა კიდეც. ანგარიში გახსნილია. 20 ოქტომბერი იშხანის ცხოვრებაში მნიშვნელოვან დღედ გადაიქცა.

რამდენიმე ხნის შემდეგ მოკლულ გერმანელთან მეორე ფრიცი მიხოხდა. ხაჩატუროვი თვალყურს ადევნებდა. ცოცხალი ფრიცი მკვდარ ფრიცს ფეხებს უკრავდა. ბლინდაჟში უნდა ჩაეთრია მისი გვამი. „დაიცა, საზიზღარო, ძლიერ ჩქარობ",—გაიფიქრა ხაჩატუროვმა და ისროლა. ერთ გვამს მეორე მიემატა.

იმ საღამოს ლეიტენანტს მარტო მაჯიდოვი კი არ უპატაკებდა, არამედ იშხან ხაჩატუროვიც სიამაყით აცხადებდა ანგარიშის გახსნის შესახებ.

ოცდაერთ ოქტომბერს ხაჩატუროვი მარტო წავიდა სანადიროდ. ამოირჩია პოზიცია, გვერდით კი ყოველ შემთხვევისათვის მეორე პოზიციაც მოიმზადა. მოწინააღმდეგე აქედან კარგად მოჩანდა. შუადღეზე რამდენიმე ფრიცი სიმინდის სამტვრევად გამოვიდა. იშხანმა ერთი მათგანი მოკლა, დანარჩენები გაიქცნენ, მაგრამ, აი, მოკლულთან მიიმართება სამი ჰანსი. ერთი მათგანი მაღალია—შესანიშნავი სამიზნე. ხაჩატუროვმა მოკლა ის, ორი დანარჩენები მიწაზე წაწვა. ასე დაიწყო სნაიპერების დაძაბული ჭიდილი. სამი საათის განმავლობაში ისინი მიჩქმალულნი იყვნენ. მერე ერთმა მათგანმა ისროლა და დააცდინა. ხელახლა ისროლა, ისევ დააცდინა. მესამედ ხაჩატუროვმა ისროლა. გერმანელი ადგილზე დარჩა.

ახლა მეოთხეზე მიდგა ნადირობის ჯერი. ბინდდებოდა და ხაჩატუროვს ეშინოდა სიბნელეში არ გამქრალიყო ჰანსი. როგორ მოიქცა იშხანი?.. მან იცოდა თუ სად იმალებოდა ფაშისტი ოღონდ ვერ ხედავდა მას. იშხანმა ერთხელ ისროლა იმ ადგილისკენ. მერმე მეორედ ისროლა. გერმანელი წამოიწია და ზურგზე დაეცა. „ვერ მომატყუებ,—ჩაილაპარაკა ხაჩატუროვმა,—შენ ცოცხალი ხარ" და როდესაც გახარებულმა გერმანელმა, რომელიც თავისი მოფიქრების გამარჯვებაში დარწმუნდა, ბლინდაჟისაკენ გადაძრომა დაიწყო, ხაჩატუროვის დაღლილ თვალებში ნაპერწკალმა ინათა. კიდევ გაისმა სროლის ხმა. მეოთხე გერმანელიც მოკლულ იქნა.

გავიდა კიდევ რამდენიმე დღე. გერმანელებზე ნადირობა ხაჩატუროვის საყვარელ საქმედ გადაიქცა. მან თექვსმეტი ჰიტლერელი მოკლა. ეს ათი დღის ანგარიშია. იშხანი ფიცს სდებს გაამრავლოს ეს რიცხვი. ის ფიცავს დედას, მშობლიურ ქვეყანას, სოფელ ტაგავარდს, რაც ქართულად „ვარდის თაიგულს" ნიშნავს.

ამ ვარდის თაიგულმა ჩვენს ქვეყანას კარგი ყვავილი მისცა, შესანიშნავი სნაიპერი იშხან ხაჩატუროვი.

მიხ. ანდრიასოვი.

მოქმედი არმია.

პ/მგ. რედაქტორი ი. ზურაბიშვილი

პ/მგ. რედაქტორის მოადგილე ვ. დარასელი